

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

# ზვიად რატიანის ისტორია

ზვიად რატიანი საზოგადოებისთვის ცნობილი პოეტი და მთარგმნელია. მას ბრალად ედება  წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და მისი შეურაცხყოფა. ის 2024 წლის 28 ნოემბერს, ჭიჭინაძის ქუჩაზე დააკავეს. რატიანი 28 ნოემბერს 11:30 საათზე მეუღლესთან და შვილთან ერთად მივიდა აქციაზე, ხელისუფლების ანტიდასავლური კურსის გასაპროტესტებლად. ცოტა ხნის შემდეგ, ის ოჯახის წევრებს დაშორდა და პარლამენტის შენობის მიმდებარედ მოძრაობდა, ცოტა ხნის შემდეგ აღმოჩნდა ჭიჭინაძის ქუჩის დასაწყისთან რუსთაველის მხარეს. ამ დროს პოლიციას აქციის მონაწილეების დარბევა დაწყებული ჯერ არ ჰქონდა. მომიტინგეები სკანდირებდნენ და აპროტესტებდნენ მთავრობის პოლიტიკას, პოლიციის მხრიდან კი მათი მისამართით ისმოდა გინება და შეურაცხმყოფელი ფრაზები. ზვიად რატიანი იდგა წინა რიგებში, პოლიციისა და სპეცრაზმელებისკენ ზურგით, ხალხის მისამართით გაჟღერებულ გინებაზე, ის მათ მიუტრიალდა და “რას აკეთებთ”-ო უთხრა, შემდეგ კი ისევ ზურგით დადგა, ამ დროს მოულოდნელად სპეცრაზმელები სწვდნენ და თავიანთ რიგებში შეთრიეს.

ზვიად რატიანის გარშემო ასობით სპეცრაზმელი იდგა. პირველი სამი რიგი იყო პოლიცია, შემდეგ სპეცრაზმელები და მათ შემდეგ ხელკეტიანი და ფარიანი რობოკოპების რიგი. რატიანი ე.წ კორდონში გაატარეს, სადაც გინება და “გამატარე, დამარტყმევინე” ისმოდა მხოლოდ, დაუნდობლად ურტყამდნენ და ძირს დაგდებულს მუშტებითა და ფეხებით სცემდნენ. რაღაც მომენტში ზვიადმა მოახერხა მეუღლისთვის მოკლეტექსტური შეტყობინების გაგზავნა - “მცემეს, დამაკავეს”. ამ დროს პოლიციელმა მობილური ტელეფონი გამოგლიჯა და ხელბორკილები დაადო. უკანონო დაკავების დროს, ის იძულებით მოათავსეს პოლიციის მინივენში, სადაც ასევე გაგრძელდა მასზე ფიზიკური ძალადობა. რატიანი მანქანის დასაჯდომის და საზურგეს შორის იყო ჩაგდებული, პოლიციელები აგინებდნენ, ზვიად რატიანმა პოლიციელს ჰკითხა: “შვილებს როგორ უნდა ჩახედო თვალებში?” ამ სიტყვებზე პოლიციელმა სცემა მუშტებით თავისა და მხრების არეში. მთელი გზა აგინებდნენ. ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში, ვიდრე მას პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანდნენ.

დაზარალებული პოლიციის განყოფილებიდან ზაჰესის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოათავსეს.

ზვიად რატიანს 1 დეკემბერს  სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. გართულებული  ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 1 დეკემბერს, საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება და დაზარალებულის კლინიკაში გადაყვანა, სადაც მას ჩაუტარდა კვლევები და გადაწყდა კლინიკაში მოთავსება. პაციენტს დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა ცხვირის ოპერაცია ძვლების მოტეხილობის გამო. ოპერაცია დაიგეგმა 2 დეკემბერს, მაგრამ ვინაიდან ამ დღეს სასამართლო განხილვა იყო, ზვიად რატიანი დაჟინებული თხოვნით ხელწერილის საფუძველზე გამოეწერა კლინიკიდან.  "ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის" მიერ გაცემული ფორმა #100-ის თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა: ცხვირის ძვლების მოტეხილობა, გულმკერდის მალის მოტეხილობა, ხერხემლის გულმკერდის ნაწილის მოტეხილობა.

ზვიად რატიანის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე ზვიად ცეკვავამ, რომელმაც მხოლოდ ერთი პოლიციელი ჩვენების საფუძველზე რატიანი სამართალდამრღვევად სცნო და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა 8 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა. აღსანიშნავია, რომ ის ერთი პოლიციელი, რომელმაც სასამართლოზე ჩვენება მისცა, რატიანის რეალური დამკავებელიც კი არ ყოფილა. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეომასალა ან სხვა ობიექტური მტკიცებულება

ასევე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა ვიდეომასალის საქმეზე დართვის შესახებ, რომელიც იქნებოდა ერთადერთი ობიექტური მტკიცებულება ზვიად რატიანის მიმართ უკანონო დაკავების და მოწმე პოლიციელის ცრუ ჩვენების წინააღმდეგ. საქმეს თან ერთვის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, გაცემული  ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის მიერ, 2024 წლის 2 დეკემბერს.  ცნობაში ასახულია, რომ ზვიად რატიანს აღენიშნება: ცხვირის ძვლების მოტეხილობა, გულმკერდის მალის მოტეხილობა, ხერხემლის გულმკერდის ნაწილის მოტეხილობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული.

სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც გამორიცხავდა დაზარალებულის მიმართ სახდელის სახით პატიმრობის გამოყენების  შესაძლებლობას.
სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში საქმე არ მიიღო.

მომხდარ ფაქტზე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო მოკვლევა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე. პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.
მიუხედავად იმისა, რომ რატიანი გამოიკითხა საგამოძიებო სამსახურში, მისთვის დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე არ მიუნიჭებიათ, ასევე არ მომხდარა დამნაშავე პოლიციელების იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.